№ 121
კვირა, 11 ივნისი 1895

1877—1895

# ივერია

№ 121
კვირა, 11 ივნისი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაგარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**«ივერიის» რედაქციისაგან:** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

---

კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება **კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა** შემდეგ საგნების განსახილველად:

1) წარსულის წლის ანგარიში;

2) მომავალ-სეზონის სავარაუდო ანგარიში;

3) გამგეობის წევრთა ამორჩევა

და 4) საზოგადოების წევრთა ამორჩევა.

თუ კანონიერი რიცხვი საზოგადოების წევრებისა არ დაესწრო კრებას, მეორე კრება მოხდება შემდეგ კვირას, 19 ივნისს, დილის ათს საათზედ, იმავ სადგომში და გარდა ზემოდ გამოცხადებულ საგნებისა განხილულ იქმნება წინადადება გამგეობისა შესახებ სარევიზიო კომისიის წევრების არჩევისა.

---

კვალის რედაქცია სთხოვს თავის ტფილისის 1894 წ. ხელის მომწერლებს, ინებონ და წაიღონ პრემია

**„თამარ დედოფალი“.**

გარეშე პირთ შეუძლიანთ იყიდონ 3 მანეთათ ამ წლის კვალის ხელის მომწერლებს დაეთმობათ 2 მანეთად.

რედაქცია იმყოფება თამამშოვის სახლში, არტილერიის ქუჩაზედ, კორპუსისა და გოლოვინის პროსპექტის შესახვევში.

(3—2)

---

გ ა მ გ ე ო ბ ა

**ტფილისის საურთიერთო საზოგადოების სასოფლო სამეურნეო კრედიტისა** სთხოვს ბ-ბ. წევრთ ხსენებულის საზოგადოებისას დაესწრნენ საზოგადო, საგანგებო კრებას, რომელიც კვირას, 25 ივნისს, დილით 11 საათზედ, შესდგება ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის შენობაში.

კრება განიხილავს შემდეგს საგნებს:

1) განხილვა საზოგადოების საქმეთა მართვა გამგეობისათვის საჭირო ხარჯთ-აღრიცხვისა და 2) არჩევნები—გამგეობის თავმჯდომარის, სამქოს სამის დეპუტატის, სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა. რწმუნებისა ქაღალდები უნდა წარმოდგენილ იქმნას გამგეობაში სამის დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დაწყებამდე.

(1—1).

---

## ტფილისი, 11 ივნისი.

ახლად დასრულებულ ბანკის კრებამ ერთი მწარე ფიქრი დაგვიტოვა, რომელიც, დაპირებისამებრ, გვსურს განვუზიაროთ დღეს მკითხველს საზოგადოებას. ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს მწარე ფიქრი მარტო ჩვენ-კი არ მოგვსვლია, მარტო ჩვენ-კი არ გვაწუხებს, არამედ ყოველს შეგნებულს ქართველს, ყველა მათ, ვისაც მართლა სტკივა გული ჩვენის საქმეების მოუწყობლობის გამო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მარტო ჩვენ არ შევუპყრივართ ამ გრძნობას, საჭიროდ ვრაცხთ მკითხველებთან ერთად გავიხსენოთ და განვმარტოთ ეს საგანი.

უცხო ვინმე რომ მოსულიყო ჩვენს ქვეყანაში და რამდენისამე წლის განმავლობაში თვალ-ყური ედევნებია ჩვენის საზოგადო ცხოვრებისათვის, ის გაოცებით უამბობდა თვისს თანამემამულეთ, რომ ქართველობას ერთი პირი, ერთი ვარამი აწუხებს მხოლოდ, რომ ქართველს საზოგადოებას მხოლოდ ერთი საგანი აქვს, რომელსაც საკვირველის ენერგიითა და გულმოდგინეობით ემსახურება; ეს ვარამი და ეს საგანი—ბანკის საქმეა, მათის ორის ბანკის მდგომარეობა არისო.

მართლაც საქართველოს ორს უმთავრესს ქალაქში, სადაც შეგროვდა ჩვენის ერის შეგნებული და განათლებული საზოგადოება, ამ ბოლო ხანში უმთავრესად ბანკი შეიქმნა ქამთა სიავეთ. დიდი შრომა, საკვირველი ენერგია და მთელი ძალ-ღონე ბანკის საქმეებსა და მისს მდგომარეობას უნდება. რას მოასწავებს ეს გარემოება? ნუ-თუ ქართველის ერს სხვა გაჭირვება არ ადგია, სხვა საქმე არ მოეძებნება?! ყველასათვის ცხადია, რომ ბევრიც და დიდი გაჭირვებაც გვადგია, ბევრიც და მრავალგვარი საქმეებიც მოგვეძებნება. მაშ რა უბედურებამ აიძულა ეს საზოგადოება, რომ ყოველისფერი დაჰვიწყებია და ერთადერთ საქმეს გამოჰკიდებია? ნუ-თუ ბანკის საქმე იმდენად რთული და ძნელია, რომ ამდენი ძალ-ღონე ესაჭიროება, ამგვარს პატრონობასა და მზრუნველობას თხოულობს? რასაკვირველია არა! ბანკის [illegible] მიმდინარეობა რომ ნორმალური იყოს, მათ არასოდეს არ დასჭირდებოდა მთელის საზოგადოების ენერგია და ძალ-ღონე, ისე, როგორც ყოველს სხვა ქვეყანაში, ყოველ სხვა ერის ცხოვრებაში არ სჭირვებია და არ ეჭირვება. მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ ჩვენის ბანკების ცხოვრება თვისს ნორმალურს კალაპოტში აღარ არის კარგა ხანია.

როგორც ქუთაისში, ისე ტფილისში დაიბადა წრე, რომელმაც ასტეხა საშინელი ბრძოლა, ბრძოლა „на жизнь и на смерть“, რომ იტყვიან. ამ გამწარებულმა ბრძოლამ, როგორც მეხანიკის კანონი მოითხოვს, იმგვარივე გამწარებული წინააღმდეგობა გამოიწვია და მთელი საზოგადოების ძალ-ღონე ამ ბრძოლას უნდება! დავეკითხოთ ახლად დაბადებულ წრეთ—რას ნიშნავს მათგან ამგვარის ბრძოლის ატეხა? რამ გამოიწვია მათი არსებობა და ეს საშინელი ბრძოლა? რა ასულდგმულებს მათ? ჩვენის მხრით სწორედ სამართლიანია და კანონიერი ეს მიმართვა, რადგანაც საჭიროა ვიცოდეთ, რა დამოკიდებულება არსებობს მათის ბრძოლისა და ჩვენის ერის ცხოვრების შორის? როდესაც ჩნდება წრე, რომელიც მრავალს ენერგიას ხარჯავს და ყოველგვარ საშუალებას ხმარობს ლელო გაიტანოს, უნდა ვფიქრობდეთ, რომ მას დიდი რამ მოაქვს ახალი, დიდი რამ საზოგადო იდეალი ასულდგმულებს, დიდს სარგებლობას გვიქადის; უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წრეს კარგად აქვს შეგნებული ის ახალი პროგრამა საზოგადო საქმისა, რომლისთვისაც გაშმაგებული ბრძოლა დაუწყია: თუ დიდს იდეალსა და საზოგადო სარგებლობას არ მოვთხოვთ, ის მაინც უნდა ვკითხოთ, კერძოდ ბანკისთვის რა ჰსურთ, საჭიროა ბანკის საქმის გაუმჯობესების პროგრამა მაინც გვიჩვენონ. ვინც გულ-წრფელია და ვისაც მართლა სტკივა გული ჩვენის ქვეყნისთვის, გაოცებით უნდა მოისმინოს ბრძოლის დამწყებთა პასუხი. მათ არა თუ დიდი რამ იდეალი არ აქვთ, უბრალო, ბანკისთვის გამოსადეგი პროგრამაც არ შეუმუშავებიათ. აქაო და გირავნობის ფურცლები ბანკის მმართველობამ-კი არ უნდა ჰყიდოს პეტერბურგში ბირჟაზე, არამედ მსესხებელთ უნდა აძლიოს ხელში, ესა და ეს მამული ძვირად დააფასესო, კონვერსია ექვსის თვით უწინ უნდა მოეხდინათ, ბანკის მმართველნი ზარმაცნი არიანო და სხვა ამგვარნი.

განა ამაებისთვის შეიძლებოდა და საჭიროც იყო გაშმაგებულის ბრძოლის ატეხა? განა რამე აზრი აქვს ამაებისთვის განხეთქილების ჩამოგდებას? განა შეიძლება გავამართლოთ წრე, რომელსაც ეს წვრილმანი საგნები აულია იარაღად საზოგადო საქმის გასაუმჯობესებლად? განა ამ საქმეს ვერ იკისრებდა და ვერ გაუძღვებოდა უბრალო, ლმობიერი და საქმიანი ოპპოზიცია?..

ყოვლად დაუჯერებელია, რომ ასეთის უფერულისა და უმნიშვნელო პროგრამისთვის იყოს დაწყებული ეს გაუთავებელი ბრძოლა!? მაშ რა უნდათ და რისთვის აუღელვებიათ საზოგადოება? რისთვის არის წყევლიადით მოცული მათის არსებობის დედა-აზრი?.. ქუთაისში ამ წრემ ბ. ჩიკვაიძის წინამძღოლობით კიდევაც გაიმარჯვა და ბანკის საქმე ხელში ჩაიგდო, მაგრამ ან საზოგადო საქმემ, ან თვით ბანკმა რა მოიგო, რა ხეირი ნახა? რა პროგრამისთვის და რაგვარი მოღვაწეობისთვის აღელვა და განხეთქილება გამოიწვია ამ პარტიამ დასავლეთს საქართველოში? ცხადია—არც იქ, არც აქ—ტფილისში—ამ წრეთა გაშმაგებულს ბრძოლას გასამართლებელი-რამ საბუთი არა აქვს და მათს დროშაზედ საზოგადო ინტერესი არ სწერია. გასაკვირველი არ არის, რომ ამ ბნელსა და არა საზოგადოებრივს მიმართულებას საზოგადოების მეორე ნაწილმა მტრულად შეჰხედა და ბრძოლა გამოუცხადა. უეჭველია, რომ მავნე მიმართულება ძლეულ იქნება და საზოგადოების წინააღმდეგ აღმართული დროშა დაიმხობა, მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მანამდის საზოგადოების ძალ ღონე, საზოგადოების უმთავრესი ყურადღება ამ ბნელსა და მავნე ელემენტებთან ბრძოლას უნდება და სხვა ჩვენი საქმე, სხვა ჩვენთვის არა ნაკლებ საყურადღებო მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი რჩება. ტფილისის ბანკის ოპპოზიცია და ქუთაისის ბანკის მმართველი წრე ქართველს საზოგადოებას თვალს ვერ აუბამენ და ადრე თუ გვიან მათი არარაობა დამტკიცდება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და ჯერ-ჯერობით შეერთებული და მედგარი ბრძოლა გვჭირია და სხვა საზოგადო საქმე სამწუხაროდ უყურადღებოდ რჩება. აი ამ მხრით არის დღევანდელი ბრძოლა მავნებელი ჩვენის ერისათვის!

შეხედეთ, მაგალითად, ჩვენს შესანიშნავს დაწესებულებას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. განა მისი არსებობა სიცოცხლესა ჰგავს? ჩვენის ქვეყნის სხვა მხარეთ თავი დავანებოთ და გავიხსენოთ დღევანდელი მდგომარეობა სამეგრე-

---

# ფელეტონი

**უკანასკნელი ჩიბუხი.**

(თარგმანი).

ფართო უდაბურს გაყვითლებულ ბალახით შემოსილს მინდორში გიორგობის თვის ცივი ნიავი დანავარდობდა. ეკკლესიის ზარის ხმა შორს, ქარის ნავარდში ხან გრძლად და ხან სრულიადაც აღარ ისმოდა. მინდვრის განაპირზედ №-ს რაზმის ოთხი გაქონილ ტილოთი გადაკრული კარავი შემოდგომის ნისლში სამარეს წააგავდა. ბანაკის მახლობლად სამმრად გამოწყობილი მეომარნი წრეთ იდგნენ: წრის შუაგულში შესაძლებელი იყო შეგენიშნათ ოთხი ახალგაზდა გლეხის ბიჭი, სამხედრო მღვდელი და მეომართა უფროსნი.

ბრალმდებელი ხმა მაღლა რაღაც დაწერილს კითხულობდა. ეს იყო 1878 წლის დამლევს, ბოსნიის დამარცხების შემდეგ. ოთხი ბიჭი უნდა სამხედრო წესით გაესამართლებინათ. საქმე მოპარულ ხარის ტყავის გამო იყო შემდგარი და ეს ბიჭები მოეყვანათ, როგორც დამნაშავენი. რად, რისთვის მოიპარეს ბიჭებმა ხარის ტყავი? შემთხვევით, ბოროტგანზრახვით, თუ სისულელის გამო? განა ვის შეეძლო ამის გამორკვევა, ან ომის დროს ამ კითხვების ახსნას ვინ გამოუდგებოდა? სამხედრო სამსჯავრო საქმეს არ ახანებს: ბრალმდებელმა ბიჭებს წაუკითხა, რომ მათ ისეთი საქმე ჩაედინათ, რომლისათვისაც ისინი სასტიკად უნდა დაისაჯნენ, რომ ისინი აღმოჩნდნენ დამნაშავედ და ამიტომ მათ მიესაჯათ სიკვდილით დასჯა—თოფით დახვრეტა.

თუმცა ოქმი წმინდა ლიტერატურულის ენით და ყოველგვარ სახელმწიფო აზრ-სიტყვებით იყო შემკული, მაგრამ ოქმის მომეტებული წილი ქარმა გაჰფანტა და დანარჩენისა-კი ბიჭებს არა გაუგიათ-რა.

ბიჭები ერთმანეთს უიმედოდ შეჰყურებდნენ. რა წამოსადეგი ჩასხმული ბიჭები იყვნენ! მათ შავს მზისაგან დამწვარს ტიტველა სახეზედ ვაჟკაცობა ნათლად აღბეჭდოდათ. ყველაზედ უფროსს ზემო ტუჩზედ ეტყობოდა აკოკრებული ულვაში. იმათს სხვილს ძარღვებს სქელი ტილოს პერანგი ჰფარავდა და თავზედ წაკრულ ხელსახოციდამ შავი თმა უჩანდათ. ეს მთის შვილები ნათლად მოგაგონებდნენ ალპის მინდვრებზედ თავისუფლად მონავარდე ცხენის ლაღს კვიცებს.

ოთხივეს გაფითრებულს სახეზედ რაღაც იდუმალი ღიმილი უკრთოდათ. რისათვის დაამყწვდიეს? რისთვის მოიყვანეს აქ? ხარის ტყავი? აი... მათ მოუახლოვდა მღვდელი.

— გაიგეთ, შვილებო, რაც გამოგიცხადეს? მთიელნი თითქოს ეხლა მიჰხვდენ თვისს მდგომარეობასაო, ღიმილი გაუქრათ და აბუზულნი შეშინებულ მცხვრებსავით ერთმანეთს მიეკვრნენ. მხარ-და-მხარ მდგომმა ბიჭებმა შავი ცეცხლის მფრქვევი თვალები შეშინებულ ცხოველსავით დააბრიალეს. ბოლოს გაჰბედეს და ჩურჩული დაიწყეს.

— იზო, შენ ხომ უფროსი ხარ, ჰკითხე და?

იზომ ერთი ნაბიჯი წინ წადგა, მწარედ გაიღიმა, თეთრი კბილები გამოაჩინა, თავიდამ ხელსახოცი მოიხსნა და ზრდილობიანად ჰკითხა.

— უკაცრავად, ბატონო! გვითხარით, რა მოგველის? ირგვლივ შეკრებილთ გაკვირვებით დაუწყეს ცქერა.

— ყველას თოფით დაგვხრეტავენ უთხრეს იზოს.

მთიელთ კვლავ იჰვნეულად გაეღიმათ და სახეზედ სიწითლე თან-დათან მოსცილდათ. ბოლოს მთიელები ერთ რიგზედ ერთმანეთზე ოთხ-ხუთს ნაბიჯის სიშორეზე დააყენეს. თვითოეულის წინ ექვს-ექსი მეომარი დადგა. მეომართ თოფები ასწიეს კიდეც.

მთიელთ ხელები ჩამოუშვეს, გვერდზე გადიღეს თავები და უძრავად იდგნენ და ცალი თვალით-კი თოფების ლულას მისჩერებოდნენ.

არავის არ მოუვიდა აზრი, რომ მთიელებისათვის ან ხელები შეეკრათ, ან თვალები აეკრათ, იქნება ამისათ-

ლოსი. იქ განუზრახავთ სრულიად მოაშორონ ეს მშვენიერი ქვეყანა ქართველობას და უცხო ენაზედ ასწავლიან მის შვილებს. აქ წერა-კითხვის საზოგადოებას დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლია: მას შეეძლო მედგრად შეჰბრძოლოდა გამანადგურებელს ძალას და გამარჯვებაც ენახა, მაგრამ სად არის პატრონი? საზოგადოების უკეთესი წარმომადგენელნი თვისს ძალ-ღონეს და უმთავრესს ყურადღებას მალა-უნებლიედ ანდომებენ ზემოხსენებულს მავნე და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულებასთან ბრძოლას!..

საზოგადოებაში დაიბადა სურვილი უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველთა დახმარებისათვის ცალკე საზოგადოების დაარსებისა. ამან გამოიწვია აზრი ვრცელის პროგრამის, საქველმოქმედო საზოგადოების დაარსებისა, მაგრამ საქმე მიყუჩებულია, იმიტომ რომ საზოგადოების უკეთესი წარმომადგენელნი თვისს ძალ-ღონეს და უმთავრესს ყურადღებას მალა-უნებურად ანდომებენ მავნე მიმართულებასთან ბრძოლას!..

მთელის ქვეყნის გამოცდილებამ გამოძებნა ახალ-ახალი ფორმა კრედიტით დახმარებისა, მხოლოდ ჩვენ არ ვიცვლით ძველს გზას, თუმცა ნათლად ვხედავთ, რომ ჩვენს მიწათ-მოქმედს და ახლად დაბადებულს მრეწველს სხვა რიგის კრედიტი ეჭირვება.

სხვა მრავალი საქმე გვიფუჭდება, ბევრი გვიბრკოლდება და ზოგიც გვიგვიანდება, რადგანაც „საზოგადოების ძალ-ღონე მავნე და საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულებასთან ბრძოლას უნდება და რადგანაც ქართველობაში მცირე წრეთ უაზრო განხეთქილება ჩამოუგდიათ, წრეთ, რომელთ აზრი, მიმართულება და პროგრამა ბნელის ბურუსით არის მოცული.

ლალი.

# ახალი ამბავი

—

⁂ დღევანდელ თავად-აზნაურობას არა-ჩვეულებრივს კრებაზედ საზოგადოებას მოხსენდება უმთავრესად არწრუნისეულის ქარვასლის თაობაზედ. მკითხველებმა იციან, რომ ეს დიდი მამული აქამდის ბანკის ხელში იყო და საბანკო კრებამ გადასწყვიტა კიდეც დაამტკიცოს ბანკის საკუთრებად, მაგრამ სამინისტრომ არ მიიღო საბანკო კრების სურვილი და ვალად დასდო მმართველობას, მამული გაესყიდნა; მაშინ თავად-აზნაურობამ და ბანკის გამგებლებმაც არჩიეს ეს მამული თავად-აზნაურობისათვის მიესყიდნათ და აი სწორედ, დღეს, ამ საგანზედ იქნება მსჯელობა. თავად-აზნაურობის კრებამ უნდა გამოსძებნოს საჭირო თანხა ამ მამულის სასყიდლად, მიანდოს ამ საქმის წარმოება თუ მმართველობასთან, თუ ნოტარიუსთან ვინმეს, ამოირჩიოს ან ერთი პირი, ან კომისია მამულის მისაღებად, ინვენტარის ჩასაწერად, რომ ყველაფერი დაწვრილებით მოხსენდეს შემდეგ კრებას. დღევანდელი კრება იქნება თვით გუბერნიის მარშლის თ. კ. ი. მუხრან-ბატონის სახლებში.

⁂ სიღნაღის მაზრაში ქოდალოსა და მაჩხაანის მიდამოებში კალიამ იჩინა თავი. კალია დიდს მანძილზედ გაიშალა. სოფლელები იძულებულნი გახდნენ ჭირნახულის მოკრებისთვის თავი დაენებებინათ და 300 კაცი კალიასთან საბრძოლველად გავიდა.

⁂ ამ წლის 29 მაისს აბასთუმანში მთავარ-მართებელმა ცამეტ ყაჩაღიდგან ხუთს უვადოდ კატორღაში გაგზავნა მიუსაჯა და დანარჩენთ სიკვდილით დასჯა, რომელნიც ყუბაში უნდა ჩამოარჩონ.

⁂ საექიმო საბჭოს საშინაო საქმეთა სამინისტროისას საჭიროდ უცვნია აეკრძალოს რუსეთის ქვეშევრდომ მოსლემინებთ გეჯასისაკენ მოგზაურობა (მექაში), რადგან ამ ადგილებში ხოლერა გაჩენილა.

რადგან ამის შესახებ ტფილისის გუბერნატორს ცნობა მოუვიდა სამინისტროდგან, ბრძანება გასცა, რომ ტფილისის გუბერნიაში მცხოვრებ მოსლემინებს არ მიეცეთ ქაბას წასასვლელი პასპორტები.

⁂ კანონის ძალით პოლიციის მოხელენი მოვალენი არიან ყაჩაღები სდევნონ არა-თუ მარტო იმ ადგილებში, რომელიც ჩაბარებული აქვს პოლიციის მოხელეს, პირ იქით იმდენი უნდა სდევნოს, სანამ პოლიცია სხვა ადგილისა საშუალებას არ იხმარს, რომ თითონ მოამზადოს და მოახერხოს ეს დევნა.

⁂ ამ დღეებში ცენზურის კომიტეტში განიხილვენ ორს ახალს პიესას. პირველი „ერეკლე მეორე“, დრამა ხუთ მოქმედებად კ. ს. მესხისა, გადმოკეთებული ვ. ჰუგოს თხზულებიდამ და მეორე „სიკოია დენჩიკი“, კომედია სამ-მოქმედებიანი დ. ს. მესხისა, კოტლიარევსკის თხზულებიდამ აღებული.

ჩვენში-კი ხშირად მომხდარა, რომ რომელისამე ადგილის პოლიციას უდევნია ყაჩაღები თავისს საზღვრამდე და მერე თავი დაუნებებია; ამ შემთხვევაში ყაჩაღები, რასაკვირველია, ასწრებენ თავისს შეფარებას და მერე სრულიად დამალვასაც. ისიც მომხდარა, რომ ადგილობრივი პოლიცია არ ატყობინებს მეზობელ სამაზრო პოლიციას, რომ ყაჩაღები გამოცხადდნენ და, რასაკვირველია, მზადაც არ არიან თავისის მხრით საშუალება იხმარონ და ღონე იღონონ მოსულის ყაჩაღების საწინააღმდეგოდ.

ამის თავიდგან ასაცილებლად საქართველოს მთავარ-მართებელმა ბრძანება გაუგზავნა ყველა გუბერნატორებს, რომ ამათაც თავისის მხრით სავალდებულოდ გაჰხადონ ყოველი მაზრის უფროსი, რომ აასრულონ შემდეგი პირობები:

ა) მოუვა თუ არა პოლიციას ამბავი, რომ იმისს ხელქვეით ადგილებში სადმე ყაჩაღები გამოჩენილან, იმავე წამს დეპეშით ანუ საგანგებოდ გაგზავნილის კაცის ხელით უნდა აცნობოს მეზობელ მაზრის პოლიციას და ამათთან ერთად შეერთებულის ძალით საერთო ღონე იღონონ ყაჩაღების დასაჭერად.

ბ) როცა პოლიცია მისდევს ყაჩაღებს, მოვალეა იგი იქამდე სდევნოს, სანამ ადგილობრივი პოლიცია მეორე მაზრისა საშუალებას არ გამოსძებნის გამოენაცვლოს. ას უნდა მოიქცნენ პოლიციის მოხელენია, თუნდაც რომ დასჭირდეთ არა-თუ სხვა მაზრაში, სხვა გუბერნიაშიაც გადასვლა.

⁂ სოფ. მელექედური, (ოზურ. მაზრა): ძლივს ცოტათი წელში გაიმართა ჩვენი სოფელი; დღემდისკი ფირალებისაგან მოსვენება არა ჰქონდა. აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც მთავარ-ანგელოსის ქვის ეკკლესიაა დაწყებული, მაგრამ ამ ეკკლესიის დასრულება შეუძლებლად გახდა, რადგანაც ამ სოფელს კარგი დღე არ ადგა. დღეს, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სოფელი მოსულიერდა; მელექედურელები გამოფხიზლდნენ და გულმოდგინედ შეუდგნენ ამ საშვილიშვილო საქმის—ეკკლესიის დასრულებას.

⁂ ახალ-სენაკი: ხშირად წაგვიკითხავს გაზეთებში და გვსმენია მათგან, ვინც ჟურნალ-გაზეთებს იწერს პროვინციებში, თუმცა-და ვიწერთ გაზეთებს, მაგრამ მესამედს არ ვღებულობთო და სხვ; მართლაც საკვირველია, ზოგიერთი ფოსტის მოხელეების ასეთი გულ-ცივობა. მოგდიოდეს კორესპონდენციები და გაზეთები და იგი-კი დავიწყების გოდორში უყოფდეს თავს და ან სულ ჰკარგავდეს! ნუთუ ფოსტის მოხელეების თანამდებობა მარტო ისაა, რომ მიღებული ამანათები წიგნში ჩაიწეროს და სხვა არაფერი? მიუხედავად ამისა, ახალ-სენაკის ფოსტის მოხელეები ბ.ბ. .მ. გვინჩიძე (ფოსტის უფროსი), დ. მეტრეველი და მ. ფულარია სწორედ მთელის სენაკის საზოგადოებისაგან მადლობის ღირსნი არიან. მით უმეტეს, რომ ეს მოხელეები თავიანთს თანამდებობას ისე პირნათლად ასრულებენ, რომ არა გვგონია რომელიმე ფოსტის მოხელეები ასე უზადოდ და თავაზიანად იქცეოდნენ... მაშინ, როდესაც ქ. ზუგდიდის გასაგზავნ კორესპონდენციებს ესენი ღებულობენ და ამათია მიტანაც და მოტანაც 42 ვერსის მანძილზედ, რის გამოც მთელი დღე და ღამე ამათი მოსვენება არ არის. კარგს ინებებდა, ვისიც ჯერ არს, მოუმატებდეს მოხელეების რიცხვსა. მით უფრო, რომ ორის მაზრის ამანათების დარიგება სამის კაცის ხელში დიდს შრომასა და ჯაფას ითხოვს.

⁂ სამეგრელო: ჩვენში ამ ჟამად ძალიან ხშირია ყვავილი. იშვიათია ისეთი სოფელი, სადაც ამ სენს მაგრა არ ჰქონდეს ფეხი მოდგმული, ზარალსაც საკმაოდ იძლევა, მაგრამ ვინ არის მშველელი? სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, სანამ ეს სენი ერთობ გავრცელდებოდეს, მანამდის სამეგრელოს დაბა-სოფლებში ამცრელი გამოგზავნონ. თუ ეს ღონე არ იქმნა მიღებული, დიდს განსაცდელს გვიქადის. მით უფრო, რომ მდაბიო ხალხს ამ გვარს შემთხვევაში, რაც გინდა გაჭირვებული იყოს, მაინც ექიმის და წამლებისა არაფერი არ სწამს, რადგანაც „პატონეფი გოჭყორუნანია“—„ბატონები“ გაწყრებიანო.

ხანგრძლივის გვალვების შემდეგ ივნისის პირველ რიცხვებში კარგი ჟუჟუნა წვიმა მოგვევლინა. გვალვისაგან ჩათუთქულს ჯეჯილს კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლე. მაგრამ ეს ერთი კვირაა, რაც დღე გამოშვებით წვიმს. თუ კიდევ განეგრძო, გაფუჭებას ნათესებს...

## დამაკვირდი

ბრალდების დამტკიცება რომ ისე ადვილი იყოს, როგორც ადვილია იმისი წარმოთქმა, მაშინ ყოველი გამოუცდელი კაცი ცილისმწამებელი იქნებოდა.

## კორესპონდენცია.

—

**დაბა ცხინვალი.** დიდ-ლიახვის ხეობაზედ დ. ცხინვალი ერთი უმშვენიერესი და უმდიდრესი სოფელთაგანია. მართალია ხალხი მჭიდროდ არის დასახლებული და ურიების სიბინძურე ცოტა სხვა გვარ ელ-ფერს სდებს ამ დაბას, მაგრამ, სამაგიეროდ, ისეთი გამაცოცხლებელი ჰავა და ბუნებაა, რომ მნახველს ავიწყდება ეს ნაკლი ცხინვალისა და სულით და გულით ნეტარებას ეძლევა.., მაგრამ, სამწუხაროდ, ბუნების სიდიადით აღფრთოვანებულს მეგარაკეს გული უკვდება, როდესაც ჰხედავს, რომ ამ მდიდარისა და ყოველისფრით შემკულის სოფლის მცხოვრებნი ჯერ ისევ უმეცრების წყვდიადით არიან მოცულნი და მათთვის-კი გულ-შემატკივარი არავინ არის; სული ეხუთება, როდესაც ხედავს, რომ გარემოება, მკვიდრთა უვიცობა და თვით ბუნებაც-კი სამოქმედოდ იწვევს კაცს და პატიოსანი მებრძოლი, თავ-დადებული მუშაკი-კი არ არის!

ცხინვალელები—როგორც საზოგადოდ ყოველ სავაჭრო ადგილების მცხოვრებნი — „საზიზღარის ეკვივალენტის“ მოტრფიალენი არიან და დღე მუდამ იმასა ჰფიქრობენ, როგორ გამდიდრდნენ ქონებრივად, როგორ ატყავონ ხალხი და თითონ-კი ლუარსაბულად კისრები გაისქელონ. და აბა რაღა საკვირველია, რომ სადაც ფულით და შეძლებით იზომება კაცის ავ-კარგიანობა, იქ ზნებრივი და გონებრივი მხარე თვალ-საჩინოდ უნდა იყოს დაქვეითებული და ჩვენშიაც სწორედ ასეა. რა ჯურისა და მილეთის ხალხი გინდათ, აქ არ იყოს. 277 კომლი ურიაა, 120 კომლი სომეხი, 118 კომლი ქართველი და სხ. ეჭვი არ არის, რომ ამ სხვა-და-სხვა ხასიათისა და მისწრაფების ხალხთა

---

ვის დროს დაკარგვა არ უნდოდათ? ისინი ხომ უამისოდაც წყნარად იდგნენ. რაზმის უფროსი განზედ გადგა და ის ის იყო უნდა მეომართათვის ენიშნებინა თოფების დაცლა. უფროსმა მთიელმა თითქოს ეს იგრძნო, ჩუმად, მაგრამ მწარედ-კი ამოიოხრა და შეშინებულ ნადირსავით დააბრიალა თვალები. ტანი აუცახცახდა და შესაბრალის სახით ხელი წინ გაიშვირა.

— რა გინდა?..

მთიელმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეძებს რასმეო. „ახ! ფართო, ფართო მინდორო“!.. მაგრამ მის ირგვლივ შეიარაღებულნი მეომარნი იდგნენ! მაშ რაღა უნდოდა? მაგრამ რაღა ჰქონდა სანატრელი? რაზმს იქით ერთს მეომარს გაჩაღებული ჩიბუხი ეჭირა... აი, ამ მეომარს მიაჩერდა იზო.

—ჩიბუხი! რაღაც თავისებურის ბოხის ხმით წამოიძახა მთიელმა. იზოს თამბაქოს ქისა და ჩიბუხი მიუტანეს. მთიელმა აუჩქარებლივ ამოიღო ქისიდგან სწორედ იმოდენა თამბაქო, რაცკი პატარა ჩიბუხში ჩაეტეოდა, ჩამოჰკრა საკვესი, ჩიბუხი გააჩაღა და დინჯად, თავისებურად დაიწყო ჩიბუხის წევა.

იზას ამხანაგები იმისაკენ მიტრიალდნენ. ორმა მათგანმა თავიდგან ხელსახოცები მოიხადეს და პირჯვარი დაიწერეს. მესამე, ყველაზედ უმცროსი-კი, უძრავად იდგა. თავი მაღლა აიღო, მახლობელს მთებს მიაჩერდა და თავისთვის ჩუმად, მწუხარედ დაიწყო ღიღინი:

ვილა გაუწევს ჩემს ცხვრებს მწყემსობას?
ვილა წიყვანს ჩემს მერანს წყალზე!
ვინ გაუქარვებს დარდს ჩემსა დედას,
ვინ დაიტირებს მოხუცს საფლავზე?

—

ჰაერი, წყალი, ტყე და მინდორი
ერთ-ურთის შემწედ ქვეყნადა რჩება,
მე-კი უბედურს მოხუცი დედა
უძეოდ მარტო სოფლადა მრჩება.

—

რა დავაშავე, რისთვისა მკლავენ?
რისთვის შემჭამოს შავმა მიწამა?
მშობელო მთებო! მხოლოდ თქვენ უწყით,
რომ თქვენი შვილი მტერმა აწამა.

—

დედასა ჩემსა ჩემი სიმართლე
უტყუვრად, მთებო, თქვენ გარდაეცით,
თქვენ შეიფარეთ მოხუც-ოხერი,
და თქვენს კალთის ქვეშ ბინა მიეცით!..

ქარიშხალის გმინვამ ეს მომაკვდავის უკანასკნელი მწუხარე ჩივილი ჰაერში შეუმჩნევლად გაჰფანტა. იზოს ჩიბუხში-კი თამბაქო თან-და-თან ილეოდა... პირველად რომ მოუკიდა ცეცხლი და გულიანად მოსწია, თითქოს სიცოცხლე კვლავ დაუბრუნდაო, სიამოვნების ჟრუანტელმა დაურბინა ტანში. იზო ჩიბუხსა სწევდა და თან შორს, შორს ცის კამარას გასცქეროდა. გაავთრებული ქარი გამხმარს ფოთლებს, შემჭკნარს ყვავილებს ატრიალებდა ჰაერში. მერე რა ცივი ქარი იყო! დედამიწაც კი, რომელზედაც იყო ტიტველა ფეხებით იდგა, საშინლად გაყინულიყო; თვით მზეც რა მკრთლად ანათებდა!.., რა უგულო ხალხი იყო ირგვლივ? საშინლად დაღონდა იზო... ერთი კიდევ უკანასკნელად მოსწია ჩიბუხი და...

— აბა... ბიჭო, მალე გასწორდი.. ერთიც კიდევ და იზომ ჩიბუხი იქვე წინ ბალახებში გადააგდო... გამხმარს ბალახის ღეროებს ცეცხლი მოეკიდა და უცებ წმინდა ბოლი ავარდა. იზო გაშტერებული უყურებდა ბოლს. ამ დროს რაზმის უფროსმა მეომართ ანიშნა და თოფებმა იგრიალეს.

სასიკვდილოდ განმზადებულთა ტანჯვას ბოლო მოეღო.

ოთხი ეჟკაცი მიწაზე დაეცა. მარტო იზო დაეცა მუხლებზედ. სამს ტყვიაში მხოლოდ ორი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი გულში, საიდამაც სისხლი შადრევანივით გადმოსდიოდა. მაინც მისი ძლიერი ძარღვები არ სუსტდებოდა. იზომ წამოიწია და კვლავ წამოდგა. დააშტერდა ჩიბუხში დარჩენილს თამბაქოს ბოლს და იმისკენ გაიშვირა ხელი.

— რაღას უყურებთ, გაათავეთ... მოისმა უფროსის ხმა. ერთი მეომარი წინ წამოდგა, თოფი საჩქაროდ გატენა და იზოს ესროლა.

იზოს შუბლი წითლად შეეღება და კვლავ ტყის ნადირივით მიწაზედ დაეშო... ჩიბუხის ნამწვი-კი ისევ ბოლავდა.

ი. კახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის მუდმივი ბრძოლა უნდა იყოს, ბრძოლა თვით-არსებობისა, თვით ინტერესების დაცვისა. მაგრამ რამდენადაც დიდ-მნიშვნელოვანია საგანი ბრძოლისა, იმდენად დამცირებული და მდილიანია საშუალება ამ ბრძოლისა. ეს საშუალება-კი გახლავთ ერთმანეთის მოტყუება, ერთმანეთის დამცირება-გათახსირება და ექსპლოატაცია. აქაც, როგორც ყოველგან, ძალა მის ხელშია, ვისაც ფული აქვს და ამიტომაც სომეხ-ურიებისაგან მთელი ქართლი და ნამეტნავად ლიახვის ხეობა განიორწყალებულია, მაგრამ ფული, ფული ჰბატონობს და ფულით ხომ სამოთხის გასაღებსაც ჩაიგდებს კაცი ხელშიო.

მაშ როგორ უნდა ვუშველოთ ხალხს? ხალხის ამაღლება-გაფაქიზების საქმეს დიდს სამსახურს გაუწევენ სოფლის შეგნებულნი—ინტელიგენტები. მართალია, ფულის ძალა ულმობელად ჰმოქმედებს და არც ერთ მომაკვდავს, არ შეუძლიან შეაცვალოს, ან შეასუსტოს ეს ძალა, მაგრამ პატიოსანის შრომა-მოქმედებით ადვილად შეუძლიან იმდენად აღამაღლოს ხალხის გონება, რომ ქონებრივ გამდიდრებასთან ზნეობრივი და გონებრივი განსპეტაკებაც შეაყვაროს. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ამაზედ ლაპარაკი არც-კი ღირს, მაგრამ ახლა ის უნდა ვიკითხოთ—ჰყავს ცხინვალს შეგნებული გულშემატკივარი თუ არა? რა მოგახსენოთ, ჩემო ბატონო? აქ ბევრსა ნახავთ კაკარდოსან-სერთუკოსანთ, ნახავთ სხვა-და-სხვა სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულებს, ნახავთ თითქოს განათლებულთ, მაგრამ რამდენად შესტკივათ გული საზოგადო საქმისათვის, ეს-კი ძნელი გამოსაცნობია, ყველა თავისთვის, განყენებული დაიარება. ყველა გულ-ჩათხრობილია და ერთმანეთს შორიდგან თვალითა ზომავენ. საზოგადო საქმე—ხალხის განათლება, შრომის მოყვარეობისა და კეთილის აზრების გავრცელება-კი სამერმისოდ და შეიძლება საუკუნოდაც გადადებული იყოს. რადა, ანკი რად უნდა აიტკიონ აუტკივარი თავი? რად უნდა აწყენინონ რომელიმე კნეინას, ან კნიაზს, რად აგრძნობინონ თვისი ნაკლი რომელიმე მოხელეს, რად შესძულდნენ რომელიმე ვაჭარს? ერთი მისი პატივისმცემელია, მეორე მთავრობის წარმომადგენელია, მესამე შეძლებული კაცია, მეოთხე მისი პარტიაა და სხ. აი ეს არის დედა-აზრი ცხინვალელის შეგნებულებისა და ამითივე ვხსნი იმ სამწუხარო მოვლენას, რომ აქაურებს ერთობა არა აქვთ და საზოგადო საქმეს პირად ინტერესებს ანაცვალებენ. მე მრწამს, რომ ცხინვალელი ინტელიგენტი მიკიჟინებს ამ სიტყვებისათვის და თავის-თავს დიდ გულ-შემატკივრად დამისახელებს, მაგრამ ეჭვი-კი მაქვს და თითონაც რომ გულზედ ხელი დაიდოს და თავისს ცოდვებს დაუკვირდეს, ხალხში თუ არა, მარტოდ-მარტოს, სირცხვილის ალმური გადაჰკრავს.

თუ უზრუნველობითა და პირადობით არ აიხსნება, მაშ რის ბრალია, შაგალ., რომ ცხინვალის სამკითხველო, ეს ერთად-ერთი ინტელიგენტთა შემაერთებელი დაწესებულება მთელს ცხინვალში, ასე უყურადღებოდ არის დატოვებული?

ნეტავი თქვენის ბედნიერის თვალით გაჩვენათ ეს სამკითხველო, საშინელი უწესოება სუფევს „მას შიგან“. სულითა და გულით რომ გინდოდეთ ახალის გაზეთების წაკითხვა, სანთლითაც რომ ეძებოთ, ვერ იპოვით. მართალია, გრძელს, წითელ სუფრა გადაფარებულს სამკითხველოს სტოლზედ უთვალავი გაზეთები ყრია, მაგრამ ისე დომხალივით არის ერთმანეთში არეული, რომ ვერას გაარჩევთ. ზოგ-ზოგი გაზეთი ისევ გაუხსნელია და გახარებული იღებთ ხელში, გგონიათ ახალიაო, მაგრამ თარიღი-კი სხვას გეუბნებათ: 1 მარტი, 17 მაისი, 4 თებერვალი და სხვა. ურევთ, ურევთ უიმისოდაც არეულს გაზეთებს და დალალულ-დაქანცული მოტყუებული რჩებით. გაზეთების გარდა არც წიგნებ და ჟურნალები აქვს ამ სამკითხველოს. ნეტა რითი უნდა აიხსნას ასეთი უზრუნველობა? მეტყვიან, სამკითხველოს შეძლება არა აქვს ჟურნალები გამოიწეროსო. ძალიან კარგი, მაგრამ რაც გაზეთები მოდის, ის სადღა არის? ნუ თუ არ შეუძლიანთ დამაარსებელთ ერთს კაცს დაავალონ ყურადღებით მოეპყრას სამკითხველოს? ნუ თუ არ შეუძლიანთ დანიშნული დრო ჰქონდეთ გაზეთების საკითხავად? თორემ ახლა იგი მთელი დღე ღიაა, შიგ ყურის მგდებელი არავინ არის, ახალ-ახალი გაზეთები ფოსტიდგანვე სახლებში მიაქვთ და სოფლიდგან ჩამოსული მკითხველი-კი ხელ-ცარიელი ბრუნდება უკანა.

კარგს ინებებდნენ ბ-ნნი დამაარსებელნი, რომ სამკითხველოს წეს-რიგში მოიყვანდნენ, დანიშნავდნენ დროს და სამკითხველოს გამგეს და გაზეთებიც სახლში არ მიჰქონდეთ. ნუ გეშინიანთ, ცხინვალი ისეთი დიდი არ არის და არც იმდენი მკითხველი ჰყავს, რომ მსურველთ დრო არა ჰქონდეთ დანიშნულს ვადაზედ მოვიდნენ ხოლმე სამკითხველოში და იქ იკითხონ. მაგრამ... როგორც ნამდვილად შევიტყე, ამ სამკითხველოს დიდი ისტორია ჰქონია.

ყველა პირველობას ჩემობს და მკითხველი საზოგადოება-კი უგაზეთოდა რჩება!

ვისაც თავი არა აქვს მოვლისა, კნეინაა იგი თუ მოხელე, ერი თუ მღვდელი, ზნეობრივად მოვალეა, ხელი აიღოს საქმის მართვაზედ, თვისი პირადობა საზოგადო საქმეს ანაცვალოს და იმგვარს კაცს ჩააბარონ, რომელიც სულით და გულით მოეკიდება საქმეს და რომელიც მკითხველს საზოგადოებასა და კითხვის მნიშვნელობას უფრო დიდს ყურადღებას უთმობს, ვიდრე კერძო კაცებისას.

ი. ც—ძე.

95 წ. 4 ივნისს.

**სამეგრელო**: ამ ჟამად უმთავრესი საზრუნველი და საჭირ-ბოროტო საქმე ჩვენი გახლავთ თავად-აზნაურობისათვის დამტკიცება მათ წოდებრივის ღირსებისა. ხუთი წელიწადი თითქმის ისე წაუვიდა ჩვენს თავად-აზნაურობას ხელიდგან, რომ ამ ხნის განმავლობაში მაგდენი არაფერი, რამდენიც ამა მდგომარე წელში, არავითარი ზრუნვა და მეცადინეობა არ გამოუჩენია ამ საგნის შესახებ. სამწუხაროდ, დღეს-კი ყველა დარწმუნდა, რომ ფრიად დიდი შეცდომა მოუვიდათ ამდენის-ხნის ტყუილ-უბრალოდ დაკარგვა, მეტად საგრძნობელი დასაკლისი ყოფილა ხსენებულის საქმის დროზედ დაუმთავრებ... ამის გამო დღეს ყველა წოდებისა და სქესის განურჩევლად დიდს ზრუნვა-ფაციფუცშია და ცდილობს, რომ თავისი საშვილიშვილო და საბოლოო საქმის დაწყება და წარმოება აწ მაინც აღარ დააგვიანოს. თავად-აზნაურობის მაძიებელმა მეგრელებმა, ჯერ ხელი მიჰყვეს მამა-პაპათაგან შენახულს ძველს უჯრებსა და ყუთებს და დაუწყეს ძებნა წყალობის სიგელ-საბუთებსა. ზოგი მათგანი ეძებდა იმერეთის მეფეებისა და ზოგი სამეგრელოს მფლობელების მიერ ბოძებულს. ამ ძველმა ყუთებმა ბევრს ტკბილად გაუღიმა და მიულოცა წითელის კვერცხით „თავად-აზნაურობა“ და დაანუგეშა, რადგანაც ბევრმა ძვირფასი საბუთები იპოვა. ხოლო ზოგიერთებისათვის, სავალალოდ, ვერაფერი შეუნახავს ხსოვნიდგან აღმოხოცილს ყუთებს.. ამის გამო ზოგიერთები, ცოტა არ იყოს, თავიანთს წინაპრებზედ გულნაკლულად არიან და ბევრი მათგანი ვინ იცის, რას არ უკზავნის საიქიოს! მიუხედავად ამისა, მართლაც ზოგიერთებმა ისეთი უტყუარი საბუთები აღმოაჩინეს წოდებრივ ღირსებისა, რომლის გააზნაურებას არავინ არ მოელოდა, მით უმეტეს რომ ეს ახლად გააზნაურებული პირები დღევანდლამდის მხოლოდ დაბალის აზნაურის, ანუ გლეხის ხარისხით ყოფილან ცნობილი. მაგრამ ობლის კვერისა არ იყოს, თუმცა-და გვიან ეღირსნენ თავიანთის აზრის მიღწევას, მაგრამ სახუმარო-კი როდია, მკითხველო, „დვორიანინობა“ ანუ „კნიაზობა“ და ისიც იმგვარ დროში, როგორშიაც არიან დღეს ზოგიერთები?

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ საბუთების მძებნელთ ძვირად დაუჯდათ თავიანთის ღირსების ძებნა. ზოგიერთს მათგანს გამოუცდელობისა გამო ხარჯი ერთი-ორად და სამად მეტი მოუვიდა, რადგანაც არზები და სხვა-და-სხვა საჭირო ქაღალდები დიდკაცების „ლაქიებს“ დაეწერათ, რომლებიც უვარგისად აღმოჩნდა. ამიტომ ზოგიერთები უფულობისა გამო იძულებულნი იყვნენ თავისი მარჩენელი ადგილ-მამული ნახევარ ფასად გაეყიდნათ და ამოეგოთ თავისი ღირსება.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## ღია წერილი.

ბ. ნ. ვ. მთვარელიშვილისადმი.

თქვენს ბიბლიოგრაფიულს წერილში—„ჩვენი ისტორია“, სხვათა შორის, აუწყებთ ქვეყანას („მოამბე“ № 5, გვ. 89): „ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ 94 ვახტანგი ავტორს (ესე იგი მე, ჯანაშვილს „საქართველოს ისტორიის“ ავტორს) შეცთომით ჰგონია მეხუთე, ეს არის ვახტანგ მეექვსე—რჯულის მდებელი, შვილის-შვილი ვახტანგ მეხუთისა. ეს ის ვახტანგია, რომელიც გადასახლდა რუსეთს 1724 წელს“.

უმორჩილესად გთხოვთ შეგვატყობინოთ „საქართველოს ისტორიის“ რომელ გვერდზედ ამოიკითხეთ, რომ ხსენებული მეფე ვახტანგ მეექვსე ჩვენ დაგვესახლებინოს მეხუთედ. გულმოდგინედ გასინჯეთ ორთავე გამოცემათა ტექსტიცა და სარჩევიც, იქნება, მართლა სადმე იპოვოთ ვახტანგ სჯულმდებელი მეხუთეთ და არა მეექვსედ. თუ ჰპოვეთ, მე ქედს მოვიხრი თქვენის მეცნიერების წინაშე და კრინტსაც აღარ დავძრავ თქვენის ბიბლიოგრაფიულ წერილის გამო, ხოლო უკეთუ ვერა ჰპოვეთ, თქვენვე უწოდეთ სახელი საქციელს იმ კაცისას, რომელსაც ჰსურს ამისთანა არა-საქებარ ოინებით დაამციროს სხვისი, ვფიქრობთ, უანგარო შრომა.

მ. ჯანაშვილი.

## თუშების თქმულებანი მეფე ერეკლე II-ის შესახებ.

წოვა და ჩაღმა *) თუშების მიჯნათ ითვლება ერთი მთაგრეხილი; ამ მთაგრეხილს ხან წოვა თუშები იჩემებდნენ, ხან ჩაღმები, და ამის გამო მათ შორის ხდებოდა ხჩუბი და სისხლის ღვრა. თუშების თქმით ამ მთა გრეხილზედ ერთხელ შეყრილიყვნენ ორი თემის წარმომადგენლები, რომ სამართალი რამე დეედოთ. მაგრამ ვერა გარდასწყვიტეს-რა და ბოლოს, როგორც მოსისხლე მტერნი, ეცნენ ერთი ერთმანეთს. ეს უთანხმოება გაიგო მეფე ერეკლემ და ერთს ზაფხულს მეფე გადაბრძანდა თუშეთს, რომ გაეჩია დავა, დაემშვიდებინა ხალხი და მით მოეღო სისხლის ღვრის ბოლო. მათ შორის ამ მთა-გრეხილზედ დადგა მეფე. შეიკრიბნენ ორთავე თემის თუშები; დაიწყეს საქმის გარჩევა. ჩაღმები ამტკიცებდნენ, რომ მთა-გრეხილი ეკუთვნოდათ მათ და წოვებთ მხოლოდ შეეძლოთ ბალახით ესარგებლათ, რომ წოვები არამც თუ ბალახით სარგებლობდნენ, არამედ ალაგსაც ართმევდნენ, წოვები-კი მთას და ბალახს ჩემობდნენ. ჩამოვარდა ისევ უთანხმოება. წოვებში იყო ამ დროს ერთი ბებერი თუში ოცისკარი, ცნობილი თუშეთში, როგორც კაცი ჭკვიანი და სიმართლის მოყვარე. ჩაღმებმა სთხოვეს ერეკლეს, რომ მას ეკითხნა ცისკარისათვის, თუ რომლებს ეკუთვნოდა ეს მთა გრეხილი. მეფემ ჰკითხა და ამნაირი პასუხი მიიღო: „რა მოგახსენო, ბატონო ერეკლევ, თხა მაგათია და საკრეჭი-კი ჩვენი“. რამდენი არ ეცადა მეფე, მაგრამ ვერა გააწყო-რა. ბოლოს ბრძანა: თუშებო, როგორც თქვენა ხართ კერპები, ისე ეს ალაგიც საკერპო ყოფილა“, ბრძანა ესა და წაბრძანდა შინისკენ. ამ მთა-გრეხილს ეხლა „საკერპოს“ ეძახიან თუშები.

ივ. ბუქურაული.

## რუსეთის ცხოვრება.

რუსეთში ხშირად ისეთს უაზრო და უსაგნო აღელვებას და უწესოებას ახდენს ხოლმე ბრბო, რომლის მზგავსს ძნელად თუ ვიპოვნით სხვაგან. აი რა ამბავი ყოფილა ამას წინად ქალაქ ტულაში.

ტულის ქალაქის ბაღის გამგეობა მინდობილი აქვს საბაღო კომისიას ადგილობრივ ვაჭრის კონდრაშოვის თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ 28 მაისს ბაღი დაუთმო ქ-ბ. ბობროვსკისას, რომელიც ჰაეროსტატით უნდა აფრენილიყო; საღამოს ბაღი აივსო ხალხით, მაგრამ უფრო მეტი ბაღის გარეთ იდგა. რვა საათზედ დაიწყეს ჰაეროსტატის გასაფრენად გამზადება. ხალხი სულგანაბული უცდის ქალის გაფრენას და ელის უბედურებას, დარწმუნებულია, რომ ჰაეროსტატი ან რომელიმე სახლზედ დაეშვება და შიგ მჯდომი ქალი უბედურებას არ ასცდება. გამოდის კარგის სახის ახალ-გაზდა ქალი და იჭერს თვისს ადგილს ჰაეროსტატში. ქალს აღელვება ეტყობა, რაც ხალხს უფრო აქეზებს... აუშვეს ჰაეროსტატი, ორ არშინის სიმაღლეზედ პარაშუტი მოწყდა და შიგ მჯდომი ქალი მიწაზედ უვნებლად დაეშვა, ჰაეროსტატი-კი ავიდა რამდენსამე საჟენზედ და მდინარეში ჩაეშვა. ამ დროს ვილაცამ დაიძახა: „ფულები დაგვიბრუნეთ;“ გაჯავრებული ხალხი შემოერტყა შეშინებულს ქალს და მუქარით სთხოვდა ფულების დაბრუნებას. საბრალო ქალი ხიფათს გადაარჩინა ბაღის გამგებლის კონდრაშოვის მოსვლამ. როგორც-კი დაინახა ბრბომ კონდრაშოვი, ბრბო მაშინვე მისკენ გაექანა ყვირილითა და მუქარით. ქალი გაიქცა, კონდრაშოვი იქვე ბუფეტში შევარდა. ხალხი უკან დაედევნა და ბუფეტში შეიჭრა. ამავე დროს ბაღის გარეშე მყოფ ბრბომაც დაამსხვრია ბაღის გალავანი და „ფული დაგვიბრუნეთო“—მორთო ყვირილი, თუმცა მას გროშიც არ გადუხდია. ბუფეტში ხალხი ეცა შკაფებს, რომლებშიაც სასმელების ბოთლები ეწყო და ერთ წამს შეთქვლიფა ყოველისფერი. მილეწმოლეწეს ყოველისფერი და გავარდნენ ბაღში. იქ მიწასთან გაასწორეს მშვენიერი შადრევანი და დაარღვიეს ბაღის გალავნის მეორე მხარე. შემდეგ შეაგროვეს გალავნის ნამსხვრევები და გააჩაღეს საშინელი ცეცხლი. უწესოება მახლობელს ბუჩქებზედაც ატყდა. ბრბოსა და პოლიციის შუა შეტაკება მოხდა. როგორც იქნა ხალხი პოლიციამ გაფანტა და შეშინებული ქალაქი დამშვიდდა.

პოლიციამ 150 კაცამდე დაატუსაღა. სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

## პატრიარქის სიტყვა.

მოგვყავს მოკლე შინაარსი პატრიარქის სიტყვისა, რომელიც მან პეტერბურგში წარმოსთქვა სომეხთა წმ. ეკატერინეს ეკკლესიაში:

„მართალია დიდად დაღალული ვარ, მაგრამ მწყემსმთავრული ჩემი მოვალეობა ნებას არ მაძლევს ვსდუმნდე. ამ სამის დღის წინად, როდესაც პირველად შემოვედი ტაძარსა ამას, სალამს გიძღვნიდით, დღეს-კი, როგორც მაცხოვარი ეკითხებოდა მოწაფეთა თვისთა, გკითხავთ: მრთელხართ? დიაღ, თუ რომ ამ ჩემის კითხვით მინდოდეს შევიტყო თქვენი ჯანმრთელობა, ე. ი. რომ თქვენ ავად არ ხართ—სჭამთ, ჰსვამთ, ცოცხალ ხართ და ჰმოქმედებთ, მეც კარგად გხედავთ ყველას. არა, ამისი შეტყობა არა მსურს; მე გეკითხებით: მრთელ-ხართ სარწმუნოებით, მრთელ-ხარ ქრისტიანულ წესთა აღსრულებით, მრთელ-ხართ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით, ვინაიდგან სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არს მოციქულის სიტყვით. თუ რომ მორწმუნე, სახელით ქრისტიანი, არ ჰმოქმედებს, როგორც ქრისტიანს მოეთხოვება, და მხოლოდ სახელით იქმნება ქრისტიანი,—ივლის ეკკლესიაში, იკითხავს დავითნს და ფსალმუნთა აზრის სიღრმეს-კი არ ჩაუკვირდება, მოისმენს სახარებას და ღვთის ცნებათ-კი არ აასრულებს, ეს კიდევ არ არის ნამდვილი ქრისტიანობა; ასეთი იყო ძველთა ისრაელთა ერი, ის ერი, რომელსაც ღმერთი ბაგითა წინასწარმეტყველისათა უსაყვედურებდა: „ერი ესე მოვალს ჩემდამო, ბაგითა თვისითა და ენითა თვისითა მადიდებს მე, ხოლო გული შორად აქვს მიქცეული ჩემგან“. მარტო სარწმუ-

*) წოვა, ჩაღმა—თუშების თემია.

ნოება იცით, რას ემზგავსება? იგი ჰგავს ფუტუროს ხეს, რომელსაც გული გამომპალი აქვს და მხოლოდ გარედგან-ღა აკრავს ქერქი, მწვანე ტოტნი; ხე ესე მხოლოდ გარედან არის მრთელი. უნდა უწყოდეთ, რომ მხოლოდ საქმით არს ცოცხალ სარწმუნოება და ამიტომ მუდამ საქმისაგან უნდა ვცნობდეთ კაცის სარწმუნოებას და აგრეთვე იმას, რამდენად ჭეშმარიტი ქრისტეანია ადამიანი. სარწმუნოება ადამიანს მხოლოდ სამარემდის გაჰყვება ხოლმე, ხოლო რაც შეეხება კეთილ საქმეთა ხსოვნას, იგი არასოდეს არ წარიხოცება და თვით სიკვდილ შემდეგაც-კი რჩება ქვეყანაზედ. ეს ასეა.

ახლა მეორე საგანს შევეხოთ. მე გეკითხებოდით, მრთელ ‚ხართ—თქო და რამდენადაც შესაძლებელი იყო, კიდეც აგიხსენით, თუ ვინ არის მრთელი, ჭეშმარიტი ქრისტეანე.

როდესაც ისრაელთა ერი ბაბილონში იმყოფებოდა, იგი მუდამ ეკითხებოდა იერუსალიმიდგან მისულთ,—მრთელ არს იერუსალიმი თუ არა? თქვენც, რომელნიც ამ ჟამად ჩრდილოეთის მხარეს შემოჰხიზვნიხართ, მდ. ნევის პირად, მკითხავთ უთუოდ: „ჰაირიკ, გვითხარ, მრთელ არს სამშობლო ჩვენი, სომხეთი, ცოცხალ არიან იმისნი შვილნი? ვიცი, თქვენს შორისაც არიან მცირედ მორწმუნენი, რომელთაც სრულიად დაჰკარგვიათ იმედი,—სომხეთი დაღუპული ჰგონიათ, ან დასაღუპად გამზადებული. მაგრამ გაუწყებთ, რომ სომხეთი ისევ ცოცხალია, და ცოცხლად დარჩება. მართალია სომხეთმა ბევრი რამ დაჰკარგა, მაგრამ წყალობითა ღვთისათა აგერ 4000 წელია, რაც ძენი მისნი კვლავ არსებობენ. დიაღ, სომხეთი დღეს ცოცხალია, მაშინ როდესაც მისი მეზობლად მცხოვრებნი ერნი, მიდიელნი და ასურელნი დიდიხანია აღიხოცნენ პირისაგან მიწისა, განჰქრნენ და დღეს მათი სახელი მხოლოდ ისტორიაში-ღა დარჩენილა, ისტორიას-ღა ახსოვს ისინი. თქვენ კარგად იცით, რომ სომხეთი ორს სახელმწიფოსა აქვს გაყოფილი. ბედნიერნი ხართ თქვენ, რომ რუსეთის სახელმწიფოს უმოწყალეს მფარველობის ქვეშე იმყოფებით და თავისუფლად შეგიძლიანთ თქვენის სარწმუნოების აღსარება, შეგიძლიანთ მშვიდობიანად და ბედნიერად იცხოვროთ პატიოსანის შრომით; მაგრამ სულ სხვას ვხედავთ სომხეთის მეორე ნაწილში. იქ, ძმანო, ისმის მათის ტანჯვისა და შევიწროების მწარე კვნესა. მაინც სასოწარკვეთილებას არ უნდა ვეძლეოდეთ. ქვეყანაზედ სუკუნო არა არის-რა. ვგონებთ დადგა დრო, როდესაც სომეხთა ერის ტანჯვასაც ბოლო მოეღება. გვწამდეს, რომ განგებამ ღვთისამ გადმოგვხედა, ქრისტიანე ერთა ყურადღება მოგვაპყრეს, საკმარისად სცნეს ტანჯვანი მოძმეთა ჩვენთა ოსმალეთის სომხეთში და ბოლოს მოუღებენ ამ ბოროტებას, მიანიჭებენ მათ კეთილად დადგენილს ადმინისტრატულს წეს-წყობილებას, უნდა გვჯეროდეს, რომ თვით ხონთქარიც შეიგნებს ამ რეფორმათა შემოღების საჭიროებას, რომლებიც უსათუოდ საჭირონი არიან სახელმწიფოს ინტერესებისათვის და დიდის სიამოვნებით დაამტკიცებს წარდგენილს რეფორმებს.

მაგრამ ჩვენ, რუსეთისა და ოსმალეთის სომეხთ, გვაქვს იმედი ძველადგანვე, რომ რუსეთის თვითმპყრობელი მუდამ მფარველი იქმნება ჩვენი, რომლისადმიც იმ თავიდგანვე მიპყრობილია თვალნი მრავალ ტანჯულთ აღმოსავლეთის ქრისტიანეთა. მათს ღაღადისს მუდამ ისმენდნენ რუსეთის მეფენი და შებღალვისაგან იხსნიდნენ ქრისტეანე ეკკლესიას. მაშ, იმედი ვიქონიოთ, რომ უმოწყალესი ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ II-ც, როგორც მისნი დიდებულნი წინაპარნი მეფენი, მეოხად და მფარველად გვეყოლება სომეხთ და ჩვენს მოძმეთ მრავალ ტანჯულთ ოსმალეთის სომეხთა შევიწროებას ბოლოს მოუღებს. და როგორც მაცხოვარი გვასწავიდა ლოცვას, ვსთქვათ: „იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეთცა ქვეყანასა ზედა. ამინ!“

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** პარისში ახლა უმთავრესად იმის შესახებ სჯიან და ლაპარაკობენ—არსებობს თუ არა რუსეთსა და საფრანგეთს შორის ნამდვილი კავშირიო, ფორმალურად დამტკიცებული ხელშეკრულობაო. ყველამ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ უკანასკნელი სიტყვა გარეშე პოლიტიკის გამო მინისტრს განოტოს დაწერილი ჰქონდა, ასე რომ იტყვა წინდა-წინვე მომზადებული იყო და მოუფიქრებლად მინისტრი არაფერს დასწერდა. რაც შეეხება რიბოს, ის იმდენად გამოცდილი ორატორია, რომ სიტყვას ,,კავშირს“ ტყუილ უბრალოდ არ იტყოდა. ამგვარად პრესსა თითქმის დარწმუნებულია, რომ რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობის შორის ფორმალური კავშირია შეკრული. ამავე დროს პროვინციის ერთი გაზეთი „დეპეშ“ ბეჭდავს ანგარიშს საუბრისას, რომელიც ჰქონია მისს თანამშრომელს მინისტრ განოტოსთან. ამ საუბრის დედა აზრი შემდეგია: მინისტრი არწმუნებს ყველას, რომ, თუ მან და რიბომ იხმარეს სიტყვა „კავშირი“, ამის გამომჟღავნებისათვის საკმაო საბუთი ჰქონდათ. ტულუზის გაზეთის ამგვარი ანგარიში კიდევ უფრო აჯერებს პარისის ჟურნალ-გაზეთობას, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შორის ნამდვილი და „საიმედო კავშირი არსებობს.

**გერმანია.** გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი დიდი პატივისმცემელია თვისის წინაპარის ფრიდრიჰ დიდისა. ამას წინად ფრიდრიჰ დიდის საყვარელს რეზიდენციაში პოტსდამში გამართულ იქმნა სალამო, რომელზედაც სტუმრები გამოწყობილნი იყვნენ ფრიდრიჰის დროის ტანისამოსით. ვილჰელმმა ამ სალამოში მონაწილეობა მიღო. მას ეცვა ფრიდრიჰ მეფის გენერალ-ადიუტანტის მუნდირი. ამბობენ აგრეთვე, რომ ამ სალამოთი მეფეს უნდოდა პატივი ეცა პროფესორ ადოლფ მენცელისათვის.

სამუსიკო ოთახში დედოფალს მდიდრულად გამოწყობილი სტუმარი მანდილოსნები წარუდგნენ. მუსიკის დამკვრელებს ოქრომკედით ნაკერი ტანისამოსი ეცვათ. ვილჰელმი, როგორც ზევითა ვსთქვით, ფრიდრიჰის ადიუტანტის როლს ასრულებდა. ამიტომ, როდესაც მას მოახსენეს პროფესორის მენცელის მოსვლა, იგი მის მისაგებებლად გაეშურა და მისვლისათანავე უთხრა, რომ მეფემ მისი პოტსდამში მოსვლა შეიტყო და ისურვა მისი სანსუსში ნახვა. პროფესორი ვერ მიჰხვდა პირველად ხელმწიფის სიტყვებს, მაგრამ მალე გაიგო, რაში იყო საქმე და რა როლს თხოულობდნენ მისგან და თავისს მხრივ ისე უპასუხა: ,,თუ არა ვსცდები, მე მაქვს პატივი ველაპარაკო მისს აღმატებულებას გენერალ-ადიუტანტს ფონ-ლენტულუსს, უფროს კირასირის პოლკისას'' უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, გადასცეთ მას უდიდებულესობას მადლობა ერთგულის ქვეშევრდომისა ჩემის პატივისცემისათვის. ვილჰელმს მოეწონა პროფესორის პასუხი, მოჰკიდა მკლავში ხელი და გაიყვანა აივანზედ, საცა იდგა ჯარი ფრიდრიჰ დიდის, მუნდირებში გამოწყობილი. მერე იმპერატორმა მენცელი მიიპატიჟა სამუსიკო ოთახში, საცა მუსიკამ ფრიდრიჰ დიდის ,,სალამურის კონცერტი'' დაუკრა.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 ივნისი.

**პარისი.** „ტან“ აქებს იმპერატორის სიტყვას, რომელშიაც გამოთქმულია მშვიდობის მოყვარეობა.

**სტამბოლი,** 9 ივნისი. პორტამ შეატყობინა სამთა სახელმწიფოს ელჩებს, რომ პრინციპიალურად თანხმა არის რეფორმების შემოღებისა, მაგრამ სომხების შესახებ საგანგებოდ-კი არას ამბობს. მთავრობა ჰპირდება, რომ დანიშნავს უზენაესს კომისარს, მაგრამ კომისარის დანიშვნის უფლებას-კი საკუთრად თვისთვის იტოვებს. პასუხის დანარჩენი ადგილი ისე ბუნდად არის გამოთქმული, რომ ელჩებმა საჭიროდ დაინახეს განმარტება მოეთხოვათ. საფრანგეთისა და რუსეთის ინგლისთან ერთად მოქმედება ისევ შესაძლებელი შეიქნა. იმედი აქვთ, რომ ადრე თუ გვიან ოსმალეთთან შეთანხმდებიან.

პეტერბურგის ბირჟა, 9 ივნისი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | | — | „ | — | „ |
| 5°/₀. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — | „ | — | „ | 205¹/₂ | |
| 4¹/₂°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — | ,, | — | ,, | 101 | |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . . | 101 | | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. . | 99¹/₂ | | — | ,, | — | ,, |
| 6°/₀ ტფილისის სათათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . . | 101 | „ | — | ,, | — | ,, |
| 5°/₀ იმავე ბანკისა . | — | ,, | — | ,, | 99⁷/₈ | |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99⁵/₈ | | -- | ,, | — | ,, |

„ივერიის“ ფოსტა.

**ბ. პერტეიას:** სრულიად შეუძლებლად მიგვაჩნია დავიმახსოვროთ ყველა წვრილმანი წერილები. თქვენი წერილი თუ არ დაიბეჭდა, იმის მიზეზი ის იქნება, რომ ან არ მაგვიღია, ან არ გამოდგებოდა დასაბეჭდად.

---

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და შინაგანი.

ი. ф. ზროტასკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროტასკევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



ისყიდება

ახალი წიგნი

ორი პიესა

იერ. გულისაშვილისა.

1) ცხოვრება ბრძოლაა
2) დრონი მეფობენ.

ფასი ათი შაური.

(5—4).



ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—5)



გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში მეორედ შევსებული და გამოცემული ავტორის სურათით მშვენიერს ქაღალდზედ

კნ. ნინო ორბელიანის

ლექსები.

ფასი 50 კაპ.

მსურველს შეუძლიან მიჰმართოს გამომცემელს ოზურგეთში და ახალსენაკში.



ჩინებული ქუთათური კირი,

რომელიც საკვირველი თეთრია შენობისათვის დიდად გამოსადეგი და მტკიცე. იყიდება ვაგონებით ტფილისის ვოკზალზედ —19 კაპ. ფუთი.

ამბის შეტყობა შეიძლება ინჟენერ ლავდანსკისთან: დიდი ვოლოვოზის ქუჩა, № 24 (ლალაევის სახლი).

(3—2)



დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

მარი ბროსსეს

საქართველოს ისტორია.

ნაწილი პირველი, ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოღობერიძის მიერ, გამოცემა ნიკ. ღოღობერიძისა. ფასი 70 კაპ.

(5—4).



დამზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და აქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების საგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—ა)


Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Іюня 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე